საქართველოში ტურიზმის დაგეგმვის საკითხისათვის

ნანა ნადარეიშვილი
სტუ-ს ასოც. პროფესორი

ცხოვრებამ და პრაქტიკამ მრავალჯერ დაამტკიცა, რომ ნებისმიერი ადამიანის, ბიზნესის, ორგანიზაციის, დარგის, მუნიციპალიტეტის, რაიონის, რეგიონისა და ქვეყნის ოპტიმალური და ეფექტიანი განვითარება დაგეგმვის გარეშე სასურველ შედეგს ვერ მოიტანს.

ის აზრი, რომ საბაზრო ეკონომიკა სტრატეგიულ დაგეგმვას არ საჭიროებს და ბაზარი ყველაფერს თვითონ დაარეგულირებს, არის მცდარი ან გათვლილია მოსახლეობის მიზნობრივად შეცდომაში შესაყვანად. ლიბერალური ეკონომიკა სულაც არ ნიშნავს მიზნების, ამოცანების, ხედვების, გეგმების გარეშე ცხოვრებას და სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის თავის ნებაზე მიშვებას, როგორც ჩვენთან ხდება. მიუხედავად იმისა, რომ კონკურენციაში მყოფმა გამყიდველების ბაზარმა შეიძლება ეკონომიკა ბოლოს და ბოლოს მიიყვანოს სოციალურად ეფექტიან წონასწორობამდე, ეს პროცესი შეიძლება ძალიან გაიწელოს და მეტისმეტად უყაირათო გამოდგეს რესურსების არასწორი ხარჯვის გამო.

სახელმწიფო რეგულირების შესახებ შეიძლება ამერიკელი ეკონომისტის, ნობელის პრემიის ლაურეატის ვასილი ლეონტიევის სიტყვების გახსენება, რომელიც მან საბჭოთა კავშირში სტუმრობისას გაზეთ "პრავდის" რედაქციაში განაცხადა რუსულად, 1989 წელს: *"მე მიტაცებს აფროსნობა, და როდესაც ვუხსნი სტუდენტებს, როგორ ფუნქციონირებს ქვეყნის ეკონომიკა, მას ვადარებ ზღვაში გასულ იახტას. საქმე კარგად რომ მიდიოდეს, საჭირო ქარი - ეს არის დაინტერესება. საჭე - სახელმწიფო რეგულაციაა. კომპასი - სტრატეგია. ამერიკის ეკონომიკას სუსტი საჭე აქვს. არ შეიძლება იმის კეთება, რასაც რეიგანი ქადაგებს: აუშვით აფრები, რათა ქარმა დაბეროს მათ და წადით სალონში კოქტეილის დასალევად. ასე, შეიძლება კლდესაც შევეჯახოთ და იახტაც დავამსხვრიოთ. ამჟამად, საბჭოთა კავშირს პირიქით აქვს საქმე: ქარი აფრებს არ ავსებს, კომპასი არ მუშაობს და მაშინ, საჭეც უკვე არ შველის საქმეს. მე ვფიქრობ, რომ უფრო სწორედ იაპონელები მოქმედებენ. მათ, რასაკვირველია, აქვთ კერძო ინიციატივა, აქვთ მკაფიო სტრატეგია, მაგრამ, სახელმწიფოც დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის საუკეთესო მიმართულებით განვითარებაში. ყველა კაპიტალისტური ქვეყნიდან, რომლებისგანაც შეიძლება რაიმე ვისწავლოთ, მე ამოვარჩევდი არა აშშ-ს, არამედ იაპონიას.*[1]" ალბათ, კომენტარი ზედმეტია.

მდგრადი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის უქონლობის გამო უჭირთ მუშაობა როგორც ადგილობრივ ბიზნესმენებს, ისე ინვესტორებს. ყველას აინტერესებს, რა მიმართულებით მიდის ქვეყნის განვითარების ვექტორი, რა დროშია გაწერილი ქვეყანაში არჩეული პრიორიტეტები და რა სტრატეგია აქვს მთავრობას ხალხის კეთილდღეობის ასამაღლებლად. ასეთ პირობებში ხელისუფლების მიერ ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე და რეალურად გააზრებული განვითარების გეგმის გარეშე ეკონომიკურ წარმატებაზე ლაპარაკი ეჭვს იწვევს როგორც მოსახლეობაში და ბიზნესწრეებში, ისე ინვესტორებს შორისაც.

უკვე 23 წელზე მეტი გავიდა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების შემდეგ, მაგრამ ქვეყანას დღემდე არ გააჩნია მკაფიო და გრძელვადიან ხედვაზე დაფუძნებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომელიც გახდებოდა ჩარჩო დოკუმენტი რეგიონებისა და დარგების განვითარების სტრატეგიების[2].

ეს გამოწვეულია რიგი მიზეზებით. ერთერთი კი, ჩვენი აზრით, არის შესაბამისი სტრატეგებისა და დაგეგმვის მცოდნე კადრების დეფიციტი ქვეყანაში. ეს არც არის გასაკვირი, რადგან საბჭოთა პერიოდში ქვეყნის, რეგიონების, დარგებისა და ქალაქწარმომქმნელი საწარმოების დაგეგმვა საქათველოში არ ხდებოდა. ყველაფერი იგეგმებოდა მოსკოვში და უკვე გამზადებული პროექტების სახით ხორციელდებოდა საქართველოში. მითუმეტეს, საჭირო არ იყო მაკროეკონომიკური, ფულადსაკრედიტო, მონეტარული, სამხედრო, საგარეო და ა.შ. პოლიტიკის დამოუკიდებლად წარმოება. ამან გარკვეული უარყოფითი გავლენა იქონია ქართული ეკონომიკური სკოლის ფორმირე-

[1] Леонтьев В.В. Экономические эссе. Теории, исследования, факты, политика. М., 1990. с. 11-15.

ბაზე, განსხვავებით სხვა სკოლებისა (მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიის, ფიზიოლოგიის და ა.შ.) და ისეთ ვიწრო ეკონომიკურ სპეციალობებში კადრების დეფიციტი განსაზღვრა, როგორიცაა სტრატეგიული დაგეგმვა.

ეკონომიკის ცალკეული დარგების განვითარების სტრატეგიების შემუშავებას ჯერ-ჯერობით ნაკლები ყურადღება ექცევა, რაც, უფრო გამოწვეულია იმით, რომ დღემდე არაა შემუშავებული ქვეყნის გრძელვადიანი (10-20 წლიანი) ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთიანი, კომპლექსური მაკროეკონომიკური სტრატეგია, რომელიც უნდა იყოს დარგობრივი, დარგთაშორისი კომპლექსებისა და რეგიონული სტრატეგიების ამოსავალი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის ქვეყნის განვითარების მეცნიერულად არგუმენტირებული ერთიანი კომპლექსური სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო პროგრამა-გეგმის შემუშავება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პირველი რიგის ამოცანაა. ავტონომიურ, გამოცალკევებულ რეჟიმში შემუშავებული დარგობრივი და რეგიონული სტრატეგიები მუდმივი ცვლილებებისა და ტურბულენტობის რეჟიმში იქნება მანამ, სანამ მათ საფუძვლად არ დაედება ქვეყნის გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური სტრატეგია. მთავრობის მიერ შემუშავებული „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020", წარმოადგენს საშუალოვადიან პროგრამას, რომელშიც არ ჩანს ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი ხედვა, რომლის გარეშე ძნელია რაიმე ეკონომიკური ორიენტირების მკაფიოდ განსაზღვრა. ამასთან, გაურკვეველია თუ როგორი უნდა იყოს ეკონომიკის ზრდის ტემპი, რომ ჩვენი მოსახლეობა საშუალო ევროპული ქვეყნის ცხოვრების დონეს გაუთანაბრდეს. მასში არ ჩანს ტექნოლოგიური წყობის ცვლის პროგნოზი და შესაძლო განვითარების სცენარები ეკონომიკური მოდელირების გამოყენებით. აშკარაა, რომ მასში ასახული ეკონომიკის ზრდის ტემპი (6-8%) ვერ გამოიწვევს ეკონომიკურ გარღვევას და შესაბამისად, ვერც მნიშვნელოვან წინსვლას[3]. ჩვენს ქვეყანას დღევანდელ სიტუაციაში სჭირდება ეკონომიკური გარღვევა, ანუ, მინიმუმ 15-18 პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა, რომ 2030 წლისათვის ერთ სულ მოსახლეზე 30 000 აშშ დოლარი მოდიოდეს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამჟამად საქართველოში, ეკონომიკურ პოლიტიკაზე პასუხისმგებელი გუნდი, პრაქტიკულად წარმოადგენს ერთგვარ ინკლუზიურ ერთობას, სადაც სხვადასხვა ხედვებისა და სხვადასხვა მიზნობრივი პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული ადამიანები საქმიანობენ. მათ შორის არასაკმარისი კოორდინირებაა და პრაქტიკულად შეუძლებელია რიგ საკითხებში შეთანხმებული მოქმედება. ეროვნული ბანკი, კონტროლის პალატა, ეკონომიკის სხვადასხვა სფეროების მარეგულირებელი ინსტიტუტები, რეგიონალური და მუნიციპალური ადმინისტრაციები, მთლიანად რჩებიან პრეზიდენტის ვერტიკალში და აგრძელებენ ეკონომიკაში იმპულსური ჩარევის მავნე ტრადიციას. შესაბამისად, ახალ პოლიტიკურ ძალას ურთულესი ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ბარიერების გადალახვა უხდება, რაც არსებითად ამცირებს მათი წამოწყებების ეფექტიანობას. საზოგადოება გრძნობს ამ მოვლენის დროებით ხასიათს და გაგებით ეკიდება მრავალ პრობლემას, რომელიც მათ წინაშე არსებითი სახით დგას. ამავე დროს, გაისმის ცალკეული პოზიტიური კრიტიკაც, რომელიც გამომდინარეობს საერთო ინტერესებიდან და გამსჭვალულია არსებულ გარდაქმნებში თანამონაწილეობის აუცილებლობის გრძნობით.

ყოველივე ამის გამო, 2014 წლის ნოემბერში ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბ. ივანიშვილმა დაიწყო საუბარი საქართველოს განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობაზე, 2030 წლამდე, რასაც ავტორიც მიესალმება.

ამჟამინდელი სტრატეგიით, მთავრობამ გარკვეული პრიორიტეტები გამოყო ეკონომიკის გასავითარებლად. ესენია: ენერგეტიკა, ქვეყნის სატრანსპორტო-ლოგისტიკური და ინფრასტრუქტურული კომპლექსები, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. ევროკავშირის კონსულტანტებთან ერთად უკვე შემუშავებულ იქნა ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიები. მუშაობა გაგრძელდება ცალკეული დარგების სტრატეგიების შემუშავებაზე და მათ შორის ტურიზმის სტრატეგიაზე. დღეს, ამ სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ სწორედ ტურიზმის სტრატეგიის შემუშავების ნიუანსებზე.

ამ ბოლო პერიოდში ტურიზმისადმი სახელმწიფოებრივმა მიდგომამ მკაფიოდ გამოკვეთილი პრიორიტეტული სახე მიიღო. გამოიკვეთა მისი ძირითადი მიზნები და ამოცანები, შიდა პრიორიტეტული მიმართულებები, სახელმწიფო პრეფერენციების გამოყენების ვარიანტები და ა.შ. ტურიზმის პრიორიტეტულობასთან მიმართებაში გარკვეულ სპეციფიკას აქვს ადგილი. საქმე ისაა, რომ ოფიციალურად ტურიზმი საქართველოს სამთავრობო დოკუმენტებში დიდი ხანია რაც

პრიორიტეტულ მიმართულებად მოიხსენება, თუმცა, ქმედითი ხასიათის პრაქტიკული ნაბიჯები სასურველ შედეგს ვერ აღწევს. ტურიზმისადმი მაღალი სახელმწიფოებრივი ინტერესის გამომხატველია ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ 2008 წელს აშშ-ს მთავრობის ტექნიკური დახმარებით შემუშავდა „საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები". აღნიშნული დოკუმენტი დღევანდელი გადასახედიდან მოძველებულია, თუმცა ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების მიმართულებით ფორმულირებული მთელი რიგი ხედვები ძალაშია. აღნიშნული „სტრატეგიის" ტრანსფორმაცია და მისი ახალ მოთხოვნასთან და გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანა ტურიზმის მმართველი სტრუქტურების გადაუდებელი და აქტუალური ამოცანაა. ტურიზმის განვითარების ახალი სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა ნაკარნახევია იმითაც, რომ ამ ბოლო ოთხ წელიწადში განხორციელდა მთელი რიგი ახალი ტურისტული პროექტები და უახლოეს მომავალში გათვალისწინებულია კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი პროგრამების რეალიზაცია, რომელიც ძირეულად შეცვლის ტურისტული ინდუსტრიის ადრე მოხაზულ ტრაექტორიებს. ახალი სტრატეგიის შემუშავებას საფუძვლად უნდა დაედოს უკვე არსებული სტრატეგიის ის ნაწილები, რომელიც შეეხება უცხოელი ტურისტების მოზიდვის მეთოდურ საფუძვლებს, სავიზო, სასაზღვრო და საბაჟო ბიუროკრატიის გამარტივებას, შიდა ტურიზმისა და მისი ცალკეული მიმართულებების განვითარებას, ტურიზმის მენეჯმენტის სრულყოფას ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე, კადრების მომზადებას და გადამზადებას და ა.შ.

ამავე დროს „სტრატეგია" საჭიროებს არსებით განახლებას, სრულყოფას, დამატებებს როგორც მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ტრანსფორმაციული მოვლენების, ასევე ქვეყნის შიგნით განხორციელებული და მოსალოდნელი ეკონომიკური გარდაქმნებიდან გამომდინარე. არანაირი სტრატეგია არ არის მუდმივი და უცვლელი, არა თუ გარდამავალი ეკონომიკის, არამედ სტაბილურ და განვითარებულ ქვეყნებშიც კი.

2010 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით ტურიზმის დეპარტამენტის ბაზაზე ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) **საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია,** რომლის მიზანია ქვეყანაში ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირება და განხორციელება, ასევე ტურიზმის განვითარების საფუძველზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა[4]. ეს უნდა განხორციელდეს უცხოელი ტურისტების მოზიდვისა და შიდა ტურიზმის განვითარების გზით. ადმინისტრაციის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ტურიზმის განვითარების ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება. აღნიშნული სტრუქტურის ახალმა მენეჯერებმა, როგორც ჩანს, ადრე შემუშავებული „სტრატეგია" შესრულებულად ან მოძველებულად ჩათვალეს (ამ უკანასკნელს ჩვენც ვემხრობით) და დაიწყო ზრუნვა ტურიზმის განვითარების ახალი სტრატეგიის შემუშავების მიმართულებით. ნოვატორული იდეა, რომელიც საფუძვლად დაედო ახალი „სტრატეგიის" შემუშავებას, მდგომარეობს, ერთი მხრივ, ტურიზმისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ერთიან ორგანიზმად წარმოდგენაში, ხოლო, მეორე მხრივ, მოკლე და გრძელვადიანი მიზნების უწყვეტად, ინტეგრირებულად ფორმირებაში. „სტრატეგია" -ში ნავარაუდევია ეკონომიკური, მარკეტინგული და ტექნიკური ამოცანების წინა პლანზე წამოწევა. ახალი გრძელვადიანი სტრატეგიის მონახაზები გულისხმობს შუა აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან ტურისტების მოზიდვას, ტურისტული სამოგზაურო პაკეტების შექმნას სამხრეთ კავკასიის რეგიონის დასათვალიერებლად და ა.შ. რაც შეეხება კლასიკური ფორმით შედგენილ ტურიზმის განვითარების სტრატეგიას, რომელშიც სრულად და სიღრმისეულად იქნა წარმოდგენილი ტურისტული საქმიანობის ყველა მხარეები, ჯერჯერობით დამუშავების პროცესშია. ამ საქმეში სიჩქარე არაეფექტიანია, რადგან ტურიზმის განვითარების კონცეფციის შემუშავება მოითხოვს არსებული მდგომარეობის მეცნიერულ დიაგნოსტიკას, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას, უცხოური, წარმატებული გამოცდილებისა და მსოფლიო პროგნოზების სიღრმისეულ შესწავლას, ტურისტული სამსახურების, დაინტერესებული სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, უნივერსიტეტების, მეცნიერების და ფართო საზოგადოების ჩართულობას.

საქართველოს კანონის „ტურიზმისა და კურორტების შესახებ" თანახმად, დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია შეიმუშაოს და აღმასრულებელ ხელისუფლებას წარუდგინოს ტურიზმისა და კურორტების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის ძირითადი მიმართულებები, შესრულების პროგრამები და უზრუნველყოს მათი განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი

წესით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტურიზმის განვითარების ეროვნული ადმინისტრაციის დებულება ითვალისწინებს „სტრატეგიის" შემუშავებას ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, ხოლო კანონი ავალდებულებს „კონცეფციის" შემუშავებას. აქ საჭიროდ მიგვაჩნია სიცხადის შეტანა და ამ ორი განსხვავებული დოკუმენტიდან არჩევანის გაკეთება[4].

ჩვენი აზრით, ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავება თავის თავზე უნდა აიღოს საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, რადგან იგი წარმოადგენს ამ დარგზე სახელმწიფო პასუხისმგებელ დაწესებულებას. რა თქმა უნდა, მან უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართვა.

საქართველოს ტურიზმის განვითარების სტრატეგიის პირველ დიაგნოსტიკურ ნაწილში ასახვა უნდა ჰპოვოს შემდეგმა ძირითადმა საკითხებმა: სტრატეგიის მიზანი და ამოცანები; ქვეყნის ბიზნეს-გარემოს შეფასება; მაკროეკონომიკური მდგომარეობის გავლენა ტურიზმის განვითარებაზე (ტურიზმი და ბიუჯეტი; ტურიზმი და ინფლაცია; ტურიზმი და ფულადსაკრედიტო პოლიტიკა; ტურიზმი და საგარეოეკონომიკური კავშირები და ა.შ.); ტურიზმის სამართლებრივ-ნორმატიული ბაზა; სახელმწიფო პოლიტიკა და მართვა ტურიზმის სფეროში; ტურიზმისა და დასვენების მიმართულებების და გეოგრაფიული ობიექტების დიაგნოსტიკა (პასპორტიზაცია); ტურიზმისა და დასვენების ინფრასტრუქტურის განვითარების დონის შეფასება; ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების გამოყენების ეფექტიანობა; საქართველოს და მისი რეგიონების საზღვარგარეთ ტურისტული ცნობადობის დონის ამაღლება; ტურისტული ინდუსტრიის სოციალ-ეკონომიკური ეფექტიანობა; ტურისტების ინფორმირებულობის სისტემა; ტურიზმის დარგის კონკურენტუნარიანობის დონე; ტურიზმის სფეროში სტატისტიკური ბაზის მდგრადობა; ტურიზმისათვის კადრების მომზადების შეფასება; ტურიზმის სფეროში საერთაშორისო ურთიერთობების მდგომარეობა; ტურიზმის ძლიერი და სუსტი მხარეების (შჭ თ) ანალიზი და შეფასება.

„კონცეფციის" პირველი ნაწილისაგან განსხვავებით, რომელიც ძირითადად შეფასებითანალიტიკურ-დიაგნოსტიკური ხასიათისაა, მის მეორე ნაწილში უნდა აისახოს დარგის განვითარების დინამიკა, მასზე მოქმედი ფაქტორებისა და პირობების პროგნოზული მახასიათებლები, დარგის განვითარების მეცნიერულად არგუმენტირებული წინადადებები და რეკომენდაციები, და რაც ყველაზე მთავარია ტურიზმის განვითარების სტრატეგია ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებიდან. „სტრატეგიის" ამ ნაწილში უნდა აისახოს ტურისტული ინფრასტრუქტურის პროგრამული განვითარების ორიენტირები, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ფორმირების და რეალიზაციის კონკრეტული მახასიათებლები; ტურიზმის განვითარების სახელმწიფო ხელშეწყობის მექანიზმები (საგადასახადო, საბაჟო, საბიუჯეტო, საკრედიტო და ა.შ.); ტურიზმის სფეროში სახელმწიფო და რეგიონული მართვის სისტემის სრულყოფა; ტურიზმის სფეროში არასახელმწიფოებრივი რეგულირების განვითარება (საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ასოციაციები და ა.შ.); ტურიზმის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სისტემის განვითარება; მიწის რესურსების გამოყენება ტურისტული მიზნებისათვის; ტურისტული ცენტრებისა და ზონების განვითარება; ტურიზმის სფეროში სტატისტიკის სრულყოფა; უსაფრთხოების ხარისხის ამაღლება; ტურისტული და თანმხლები მომსახურების ხარისხის სრულყოფა; „სტრატეგია" გვერდს ვერ აუვლის ტურიზმის საერთაშორისო, რეგიონთაშორისო და შიდა რეგიონული თანამშრომლობის განვითარებას, აგრეთვე ტურიზმის პერსპექტიული მიმართულებებისა და სახეების განვითარებას და განსაზღვრას, ტურისტული დარგების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას; ტურისტული კლასტერების განვითარებას და კრეატიული ტურიზმის ფორმირებისა და განვითრების სხვა აქტუალურ საკითხებს.

ჩვენი აზრით, ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავების ყველაზე რთული ნაწილია მისი შეთანაწყობა ქვეყნის ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან. საუბარია იმაზე, რომ ტურიზმი, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგთაშორისი კომპლექსი, უნდა ვითარდებოდეს სხვა დარგებთან დაბალანსებულად და პროპორციულად. ტურიზმის ინდუსტრიის მეტისმეტმა გადაჭარბებულმა შეფასებამ ან მისმა სათანადო დონეზე შეუფასებლობამ, შეიძლება დიდი ზიანი მოუტანოს მის განვითარებას. საქმე ისაა, რომ ბოლო სტატისტიკური მონაცემებით ტურიზმის წილი ქვეყნის მთლიან შიგა პროდუქტში სულ 6-7%-მდე მერყეობს. ეს ციფრები ყველაფერზე მეტყველებენ. ჩვენი ქვეყანის შრომითი და ინფრასტრუქტურული რესურსი არ იძლევა საშუალებას, რომ მშპ-ში მისი წილი 20%-ზე მეტი

იყოს. ამიტომ, ქვეყნის განვითარების ხერხემალი უნდა გახდეს ცოდნაზე დაფუძნებული ინოვაციური ეკონომიკა. ამის მაგალითებია მაიკროსოფტის, გუგლის, ეფლის, სამსუნგის, ნოკიას, სონისა და სხვა ცნობილი ბრენდები. სულ რამდენიმე ხნის წინ გუგლმა ფანტასტიკური თანხა 22 მილიარდი აშშ დოლარი გადაიხადა ერთ პროგრამულ პროდუქტში - WhatsApp-ში, რომელიც ორმა უკრაინელმა პროგრამისტმა შეიმუშავა. ეს საქართველოს მშპ-ს 5 მილიარდი აშშ დოლარით აღემატება.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს ტურიზმის ძირითადი სფეროები უმეტესად მაინც ბუნებასთან არიან დაკავშირებული - ზღვასთან და მთასთან. დანარჩენი სახეობის ტურიზმი შედარებით ნაკლებად შემოსავლიანია. ბუნებასთან დაკავშირებული ტურიზმი კი შედარებით მაღალრისკიანია, რადგან ბუნების ქცევა მაღალი ტურბულენტობითა და ალბათობით გამოირჩევა - შეიძლება მცირე თოვლი მოვიდეს ან საერთოდ არ მოვიდეს, შეიძლება ზღვისპირეთში დასვენების სეზონი ზედმეტად ნალექიანი აღმოჩნდეს, რაც მკვეთრად ამცირებს ტურისტების რაოდენობას. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საქართველომ თავისი უნიკალური ბუნებრივი პირობები ტურიზმისათვის არ გამოიყენოს. ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობაც მაღალრისკიანი დარგია და ბუნების ქცევაზე დიდათაა დამოკიდებული, მაგრამ ამ დარგზე არც ერთ ქვეყანას ხელი არ აუღია. მეორე მხრივ, ჩვენი აზრით, ტურიზმის აღიარება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უმთავრეს მიმართულებად, არ იქნება სწორი. იგი უნდა იქნას განხილული როგორც ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული, შემავსებელი კომპლექსი, რადგან ტურისტების ქცევა არაა სტაბილური და დამოკიდებულია მრავალ რისკ-ფაქტორებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო გეოგრაფიულად მაღალკონკურენტულ ტურისტულ ზონაში მდებარეობს (განსაკუთრებით თურქეთთან), რაც, თავის მხრივ ძალიან მაღალი სერვისული სტანდარტების მიღწევას მოითხოვს. ეს კი მოკლე დროში რთული განსახორციელებელია. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქვეყნის სოფლის მეურნეობა, რომელიც ინფრასტრუქტურასთან ერთად, მჭიდროდაა დაკავშირებული ტურიზმთან, თავისი განვითარების დონით და მასშტაბებით ბევრად ჩამორჩება სხვა დარგებისა და სფეროების განვითარებას. საქართველოში შემოსული უცხოელი ტურისტების მიერ, კვების პროდუქტების მოხმარება ნიშნავს ამავე უცხოელის მიერ სხვა ქვეყნის მუშახელის დასაქმებას, რადგან ქვეყნის სასურსათო კალათაში თითქმის 80 პროცენტამდე იმპორტირებული პროდუქტია. ტურიზმის განვითარების ტემპების შესაბამისად ეროვნული სოფლის მეურნეობის განვითარება უზრუნველყოფს დაბალანსებას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში და დასაქმების დონის ზრდას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ტურისტების თითქმის 70 პროცენტი მოდის აჭარის არ-ზე, დანარჩენი თბილისზე და სხვა ტურისტულ ზონებზე. ეს ნიშნავს, შემოსავლების აკუმულირებას ცალკეულ რეგიონულ წერტილებში, რაც, თავის მხრივ აღრმავებს რეგიონთაშორისი ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების დონის უთანაბრობას მანამ, სანამ, ტურისტული ინფრასტრუქტურა არ დადგება ფეხზე, მოცემული სიტუაცია უნდა იქნას უცვლელად შენარჩუნებული, ხოლო შემდგომ ეტაპზე სახელმწიფოს შეუძლია მის ხელთ არსებული ეკონომიკური ბერკეტებით მოახდინოს შემოსავლების გადანაწილება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში.

ავტორის აზრით, მიუღებელი და დაუსაბუთებელია ზოგიერთი ქართველი და უცხოელი მკვლევრისა და ექსპერტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოში ტურიზმის განვითარება მხოლოდ ამბიციური პროექტია და არაა ეკონომიკურ წარმატებაზე გათვლილი. თუ ვიმსჯელებთ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში საქართველოში ჩამოსული უცხოელი მოქალაქეების რაოდენობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ზრდის მაღალ ტემპებთან გვაქვს საქმე. მაგალითად, 2008 წელს საქართველოში ჩამოსული უცხოელების რაოდენობამ 1 291 ათასი ადამიანი შეადგინა, 2009 წელს - 1 500 ათასი, 2010 წელს - 2 033 ათასი კაცი, 2011 წელს 2 822 ათასი, 2012 წელს 4 428 ათასი, ხოლო 2013 წელს საქართველოში საერთაშორისო შემოსვლების რაოდენობამ 5 392 ათას მიაღწია (ზრდა 22%). ე.ი. ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი 2012 წელს აღინიშნებოდა (ზრდა 57%). ამასთან, ტურიზმიდან შემოსავალმა 2013 წელს 1,72 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა [4]. ნავარაუდევია, რომ 2014 წელს საქართველოში ჩამოვა 6 მილიონი, ხოლო 2015 წლისათვის 7 მილიონამდე უცხოელი მოქალაქე. ამრიგად, მოცემული სტატისტიკა აშკარად მიგვანიშნებს იმაზედ, რომ ტურიზმის სფეროში განხორციელებული სახელმწიფოებრივი ძალისხმევა საკმაოდ ეფექტიანია და მას დიდი პერსპექტივა აქვს. ამავე დრო, გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს ტურისტების რაოდენობის სტატისტიკური აღრიცხვის მეთოდოლოგია. საქართველოს საზღვარზე შემომსვლელი ყველა მო-

ქალაქის ტურისტთა ჯგუფში ჩართვა არასწორია, რადგან მათი ნაწილი ტრანზიტული მგზავრია და სხვა ქვეყანაში მიემგზავრება. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოში ჩამოსულთა საკმაოდ დიდი ნაწილი ოფიციალური სახელმწიფო დელეგაციებითაა წარმოდგენილი, რომელთა მომსახურებაზე იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები ე.წ. „წარმომადგენლობითი ხარჯების" მუხლით. მათი ტურისტების რიცხოვნობაში ჩართვა მექანიკურად ზრდის ტურისტთა რაოდენობის მაჩვენებელს. ასეთივე სიტუაციას აქვს ადგილი საქართველოში ოფიციალური მოწვევით ჩამოსული კულტურის მუშაკების (განსაკუთრებით მომღერლებისა და მუსიკოსების) მიმართ. მათი და თანმხლები პირების ყველა ხარჯებს სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს. არადა, ასეთი ოფიციალური დელეგაციებისა და „პიარ-კომპანიების" ვიზიტების რაოდენობა დღითიდღე იზრდება. როგორც ჩანს, საჭიროა ტურისტების სტატისტიკური აღრიცხვის მეთოდოლოგიაში არსებითი ცვლილებების შეტანა და ამ კატეგორიის ვიზიტორთა ტურისტების შემადგენლობიდან გამორიცხვა. მეორე მხრივ, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ საქართველოში ყველაზე დიდი რაოდენობით მოქალაქეები ჩამოდიან უახლოესი მეზობელი ქვეყნებიდან. (ამის სტატისტიკას ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომლის საიტზე დეტალური ინფორმაცია მოიპოვება თვეების მიხედვით შემოსულ ვიზიტორებზე).

ტურიზმის განვითარების პროგნოზირებისას მთავარია იმის დადგენა, თუ რა გავლენას მოახდენს ტურისტული ნაკადების ზრდა ქვეყნის მაკროეკონომიკაზე. როგორც წესი, ტურიზმის განვითარებამ ხელი უნდა შეუწყოს უმუშევრობის დონის შემცირებას, რადგან ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მშენებლობა მოითხოვს დამატებითი სამუშაო ძალის გამოყენებას. ამ შემთხვევაში ინერციული პროგნოზების შემუშავება დაუშვებელია იმის გამო, რომ გასულ წლებში ტურისტული ნაკადების ზრდას დასაქმების ზრდის ნაცვლად, თან ახლდა უმუშევრობის ზრდა, რის ახსნაც შეუძლებელია დღემდე ცნობილი ეკონომიკური კანონებით. ერთადერთი, რისი ვარაუდის დაშვება შეიძლება - ჩვენი ეროვნული სტატისტიკა სწორად ვერ ითვლის ან ტურისტების რაოდენობის, ან უმუშევრობის დონეს.

მეორე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელის პროგნოზიც უნდა გაკეთდეს ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავების წინა ეტაპზე, მდგომარეობს იმის განსაზღვრაში, თუ რა გავლენას ახდენს ტურისტული ნაკადების ზრდა ინფლაციურ პროცესებზე. ნებისმიერი ტურისტი, რომელიც ჩამოდის საქართველოში ხარჯავს უცხოურ ვალუტას, რისთვისაც ის მოქმედი კანონის შესაბამისად ახდენს მის ქართულ ვალუტაში კონვერტაციას. ეს კი ნიშნავს, რომ იზრდება ქვეყანაში ეკონომიკის დოლარიზაციის დონე, რომელსაც თან ახლავს მთელი რიგი ნეგატიური ასპექტები. ეს მომენტი არ იქნება იმდენად მნიშვნელოვანი იმ შემთხვევაში, რომ საქართველოს საგადასახდო ბალანსში ექსპორტ-იმპორტის სალდო არ იყოს მკვეთრად უარყოფითი (1:4).

პროგნოზირებას უნდა დაექვემდებაროს აგრეთვე იმ ინვესტიციების საბოლოო გამოსყიდვის ვადები, რომელიც მიიმართება ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობისაკენ. გასათვალისწინებელია, რომ ძვირადღირებულ ტურისტულ ობიექტებზე დახარჯული ინვესტიციების სრულად ამოღებას ძალიან დიდი დრო დასჭირდება, რაც თავის მხრივ, მაღალ რისკთანაა დაკავშირებული. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ განვითარებული ქვეყნების ინვესტიციები ნაკლებად შემოდის საქართველოს ტურისტულ სექტორში. ინვესტიციები წარიმართება შედარებით იაფასიან ტურისტულ ობიექტებზე ნაკლებად განვითარებული ან მეზობელი ქვეყნებიდან.

ტურიზმის განვითრების სტრატეგია და პროგნოზი გვერდს ვერ აუვლის ქვეყნის პოლიტიკური ვითარების შეფასებას გრძელვადიან პერიოდში. ამ კუთხით, საქართველო დღევანდელი გადასახედიდან პოზიტიურად ვერ გამოიყურება, რადგან რუსეთ-საქართველოს შორის არსებული დაძაბული პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების დარეგულირების ნიშნები არც უახლოეს მომავალში მოჩანს.

როგორც წესი, პროგრამული ხასიათის სახელმწიფო გადაწყვეტილებებს წინ უნდა უსწრებდეს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება. საქართველოში ტურიზმთან მიმართებაში შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკამ გაუსწრო თეორიულ-მეთოდოლოგიურ დასაბუთებებს. კერძოდ, უკანასკნელ 3-4 წელიწადში მიღებულ იქნა მთელი რიგი სამთავრობო გადაწყვეტილებები, რომლებსაც არ გააჩნიათ სტრატეგიული უზრუნველყოფა[5]. მაგ. 2010 წელს მიღებულ იქნა კანონი „ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონის განვითარების ხელშეწყობის შესახებ", რომლითაც დაწესდა მთელი რიგი პრეფერენციები მოცემულ ტერიტორიაზე სასტუმროების მშენებლობასთან დაკავშირებით (მიწის

სიმბოლურ ფასად გადაცემა, პროექტის სამშენებლო დოკუმენტაციის უფასოდ გადაცემა, კომუნიკაციებით და სხვა ინფრასტრუქტურით სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფა, ინვესტორის მიერ პროექტის დადგენილ ვადაში შესრულებისას მისი 15 წლით გათავისუფლება საშემოსავლო და ქონების გადასახადებისაგან). შემდგომ, ანალოგიური გადაწყვეტილება იქნა მიღებული ანაკლია-ზუგდიდის ტურისტული ზონის მიმართ. ამ მიზნით დასახელება შეეცვალა „ქობულეთის შესახებ" კანონს და მიღებულ იქნა ახალი კანონი „ქობულეთისა და ანაკლიის თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ". უნდა აღინიშნოს, რომ გათვალისწინებულია ამ უკანასკნელ კანონსაც მომავალში შეეცვალოს სახელი და დაერქვას „თავისუფალი ტურისტული ზონის განვითარების ხელშეწყობის შესახებ" კანონი, ხოლო ახლი ტურისტული ზონების გახსნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეიძლება დაევალოს საქართველოს მთავრობას. რამდენიმე წლის წინ დაიწყო სამთო-სათხილამურო ტურისტული ზონის მშენებლობა ზემო სვანეთში და მთიან აჭარაში. გათვალისწინებულია აჭარა-სამეგრელო-ზემო სვანეთის ტურისტული ზონების საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რითაც შეიქმნება საქართველოში პირველი ტურისტული კლასტერი, რომელიც გააერთიანებს საზღვაო და სამთო-სათხილამურო ტურიზმს. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კლასტერი ყველაზე კრეატიული ტურიზმის მახასიათებლებს დააკმაყოფილებს პოსტსოციალისტურ სივრცეში.

ტურიზმის განვითარების დღევანდელი ტემპები ძალიან სწრაფია. გათვალისწინებულია 10 სათხილამურო ტრასის მშენებლობა. აქედან უკვე მიმდინარეობს გუდაურის, ბაკურიანის და სვანეთის ახალი ტრასების აგება. მათ შეემატება აჭარის მაღალმთიანი რეგიონის სათხილამურო ტრასები. სწრაფი ტემპით შენდება ბათუმის, ქობულეთის, ანაკლია-განმუხურის საზღვაო ტურიზმის ინფრასტრუქტურა და ა.შ. ყოველივე ეს დღის წესრიგში აყენებს ტურიზმის განვითარების ახლი სტრატეგიის შემუშავების ამოცანას. კარგი იქნება, თუ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიც ამ საქმეში ჩაერთვება.

ლიტერატურული წყაროები:

1. Леонтьев В.В. Экономические эссе. Теории, исследования, факты, политика. М., 1990. с. 11-15.
2. ე. ბარათაშვილი, ნ. ნადარეიშვილი, ნ. ძიძიკაშვილი. „ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს სტრატეგიულ განვითარებაზე". ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა" №3. (27) 2013. გვ. 41-53.
3. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია—საქართველო 2020". გვ. 27-28. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო http://www.mof.ge/common/get_doc.aspx?doc_id=10967
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია http://gnta.ge/
http://georgia.travel/uploads/angarishiweli/geo.pdf
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო http://www.economy.ge/ge/economic-data/tourism
http://www.economy.ge/uploads/meniu_publikaciebi/ouer/turizmis_statistikuri_mimoxilva_2013.pdf

ON THE QUESTION OF TOURISM PLANNING IN GEORGIA

NANA NADAREISHVILI
Associated Professor of GTU

Life and practice has proved that any person, business, organization, municipality, district, region and country optimal and efficient development will not bring desired results without the planning. This refers to the planning tourism, including developing the strategy.

Tourism development strategy must be taken by the Georgian National Tourism Administration, since he is in charge of the institution in the state. He must ensure the involvement of various agencies and public organizations. National approach to tourism is a clear priority. Were outlined the main goals and objectives, internal priority areas, the use of state options and preferences, etc.

An expression of high national interest towards Tourism is the fact that in 2008 by the assistance of the US government has developed "main directions of development of tourism in Georgia." The document from today's view is outdated, however a series of visions about the development of the tourism industry are valid. . The transformation of this "strategy" and make them relevant to the new demands and challenges is the emergency and urgent task for tourist authorities.

The most difficult part of developing tourism strategy is to combine it with the country's socio-economic development strategy. It refers to the fact that tourism, as one of the important sectors of the economy complex, must developed be in balance and proportion to other fields of industry. Nneither tourism industry neither excessive nor exaggerated assessment of the appropriate level of underestimation, can bring great harm to its development. The share of tourism in the country's gross domestic product to the latest data is about 6-7%.These numbers speak for everything. Our country's labor resources and infrastructure does not allow its share to be more than 20% in GDP. Therefore, in our view, the backbone of the country development should become the knowledge-based innovation economy.

Tourism development strategy and forecast cannot sidestep the political assessment of the situation in the long term. In this respect, Georgia in retrospect does not look positively, because the signs of regulation tense political and economic relations between Russia and Georgia, are not outlined in the near future.

The development of tourism is in a very quick pace. Set aside for the construction of 10 ski slopes. Out of this has been going on Gudauri, Bakuriani and Svaneti to build new tracks. To them will be added ski slopes of mountainous region of Achara. It is being built at a rapid pace Batumi, Kobuleti, Anaklia Ganmukhuri marine tourism infrastructure, etc. All of this is on the agenda of the tourism development strategy of developing the new task. It would be good if the Technical University will be involved in this case.